დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა

რედაქცია

გაზეთების ბრახვექტზეთ. ია. შუხრანხეთ ხახლებ-ში ალუბინ ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროებაში“, „იგვერიაში“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროებაში“ „იგვერიაში“ აგენტთან ი. ჭეოხიანთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ „Иверіи“.

„დროება“-„იმერიის“ ფასი

		წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
ცალკე	„დროებაში“ და „იგვერიაში“ ერთად	14 მან.	8 მ.	5 მ.
	„დროებაში“	9 მან.	5 მ.	3 მ.
	„იგვერიაში“	7 მან.	4 მ.	2 მ.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილებრივის ასო ქოთაგრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილებრივის ასოთ ასოზე შეოთხედი კაპ.

თუ ხაჭირეთა მოითხოვს, რედაქცია კანსწორებს და შეამოკლებს დანაბეჭდ-ბეჭდ-ბეჭდ-ბეჭდ-ბეჭდ. ერ-ბეჭდელ წერილს რედაქცია ფონტი-ი კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროებაში“ „იგვერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

ბბ. მუშტართ ჩვენი ფირმის ჩაისა

უმორჩილესად ვსთხოვთ მიაქციონ ყურადღება ბანდეროლებზე

ასოთ კ ლ ს

(20—18)

ძმანი კ. ლ ს. პაპოვები

საკუთარ სახლი მოსკოვში.

თბილისის თეატრი

ოთხშაბათს, 4 ნოემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველი აბონემენტის რიცხვში

I

შეშლილია!

დრამა 2 მოქმედ., ფრანცუზულიდამ.

II

ცოცხალი სურათები

1) წყაროსთან (მეორეჯელ)
2) Celle ყმაწვილი.
3) ფული თუ სიყვარული?

III

პარიჟელი ბიჭი

კომედია 2 მოქმ., ნათ. დ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

გამგე კომიტეტი ქუთაისის გიმნაზიის დარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა თანახმად ამავე საზოგადოების წესდების მე-12 და 7 მუხლისა, აცნობებს ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ სსენებულ საზოგადოების წევრთა **ჩვეულებრივი კრება** დანიშნულია **დღეს პირველს ნოემბერს, 12 საათზე** დღითი გიმნაზიის ზალაში. (3—3)

«დროების» ფელეტონი, 31 ოკტომ.

ელგუჯა *)

(მოთხრობა)

მშვენიერად გამწვანებულს ფერდოზედ, ლამაზად შეფენილიყო ქალალდივით თეთრი ცხვარი და წყნარ-წყნარად ძოვით მიდიოდა ალმა. ოკრი ყოჩი ქვეით ჩამორჩენოდნენ და თავ-გაწირვით იბრძოდნენ, რადგანაც რომელიმე შიშაქი*) სადაოდ გახდომოდათ და არცერთი თავს არ ინანებდა, ოლონდაც გაბედნიერებულიყვნენ იმის მოწონებით და არჩევით. ყოჩები უკან-უკან წავიდოდნენ, გაუდგებოდნენ ერთმანერთს განზედ და როდესაც საკმაოდ დაშორდებოდნენ, კამარით და ლაზათიანის ხტუნაობით, ყელ-მოღერებულები გაექანებოდნენ ერთი-ერთმანეთის რქებით და შუბლით თავგანწირვით დაეტეკებოდნენ; მერე გაბრუებულები ფრუტუნით გაიქნევდნენ თავს და ისევ ხელ-მეორედ გაუდგებოდნენ ერთმანერთს, რათა ხელ-ახლად ეცადათ თავიანთ რქების კისრის და თავის ძალა. იქამდინ მიდიოდა იმათი თავ-გაწირულება და სურვილი გამარჯვებისა, რომ ბევრჯელ, შეტაკების შემდეგ, ორნივ გაბრუებულნი გადაიქცეოდნენ უკან და რაოდენიმე ხანი ისე ეყარნენ. ბარეშე კაცს რომ შეეხედა იმათ ბრძოლისათვის ეგონებოდა, რომ მებრძოლეებმა შუაზედ გაიხეთქეს შუბლებიო, მაგრამ მწყემსი, რომელიც ფარას სათავეში მოჰქცეოდა, სიამოვნების სახით უყურებდა იმათ ბრძოლას. ის ყოჩების გაშველებას არც კი სცდილობდა, რადგან ძალიან კარკად იცოდა, რომ ყოჩების გაშველება არ შეიძლება, სანამერთი იმათგანი გამარჯვებული არ შეიქნება სანამ ერთს იმათგანს არ ეღირსება ალერსიანის ყმუყუნით გაევლა თავის ტურფა შიშაქის წინ და მეორეს კი დარცხვენილს და თავ-დახრილს ფარაში დამალვა.

მწყემსი დაყრდნობილიყო თავის შვინდის კომბალზედ და დასცქეროდა ცხვარს, რომელსაც მეტად წინ არ უშვებდა, რომ უფრო გულიანად ეძოვათ და უკანებისათვის მეტად არ ექელათ ბალახი.

მაღლობზედ დიდს ქოფაკს, გაბანჯგლულის ფეხებით და შესაზარის შეხედულობიდ, ამოერჩია ალაგი და იქიდგან დარაჯობდა ცხვარს.

ერთბაშათ ძაღლი წამოვარდა, შეჰყმუვლა და გაექანა ერთი ქედისკენ, რომლიდგანაც ამოჩნდა ერთი დედაკაცი. ძაღლი მივიდა იმასთან, დაუუწყო ლაქუცობა, ყეფა და ხტუნაობა; ეტყობოდა, რომ ის სიხარულს ჰგრძნობდა ახალ მოსულის ნახვით. ძალიც თავის ნაზის ხელებით უალერსებდა და უყვავებდა იმას. რამწამს მწყემსმა თვალი მოჰკრა მომავალს ქალსა, სახემ გაულიმა და თუმცა დიდი ხანი იყო, რაც ამ გვარად ხარობდა ხოლმე, მაგრამ, თითქოს შეყრის პირველი დღე იყოს, გულმა ისე დაუწყო ძგერა.

ისინი მივიდნენ ერთმანერთთან, სიხარულით მოეხვივნენ და დასხდნენ. ქალმა მოიხსნა გუდა, ამოალაგა ხაჭაპურები, ყველი და ქადა. პირველის ალერსის შემდეგ დაიწყეს პურის ჭამა.

— ძალაუ, მთიულეთით თუ არვინ მოსულა? ჰკითხა ელგუჯამ, რომელიც, უეჭველია, იცნო მკითხველმა.

— არა, უპასუხა ქალმა.

— რაისთვი ივვიანებენ? წარმოსთქვა ელგუჯამ და დაფიქრდა.

— სოფელში კი ამბობენ, რაიმე არეულობა არის მთიულეთსაო.

— არეულობა?

— ფოქები ლაშქრად ემზადებიან.

— მეფისას რას ამბობენ, ვინა დგება?

— არ ვიცი... ხალხი ბიორგისა გლოვობს, ყველა უფროსებმა წვერი დაიყენეს.

— რას გვარგებს წვერის დაყენება!..

ამ დროს ძაღლი, რომელიც იქვე იწვა და ენაზებოდა მზაღვეს, წამოვარდა და გაანჩხლებული, ყეფით გაექანა გზისაკენ, სადაც ერთი მთიული მგლურის ნაბიჯით შემოდიოდა. თუშური ქუდი კოხტათ გვერდზედ მოჰქცეოდა და აშვენებდა იმის ყმაწვილს პირისახეს. ჩოხის კალთები

*) ის. „დროება“ № 226.

*) შიშაქი, ბატკნობიდამ გამოსული დედალი ცხვარი.

ტელეგრამები

(„ჩალხთა-შარის ტელეგრაფის ხაგენტისა“)

პეტერბურგი, 29 ღვინ. გაზეთს ბოტიადოკში იწერებიან რომ კოეგის სახელმწიფო ბანკის გამგებელად ბრიფესორი ბოსტნიკოვი დანიშნესო.

ეკატერინოსლავი, 28 ღვინობ. რადგანაც ზამთარი და სიცივეები ადრე დადგა, ამის გამო გრიგორიოგის რკინის გზის მუშაობა შეაჩერეს. ფინანსთ სამინისტროში შეადგინეს ცალკე კომისია, რომელმაც უნდა გადახედოს თითბრის და სპილენძის ტარიფი და რუსეთში ნაწარმოებ სპილენზე ეოველი ბაჟი მოსპოს.

ახალი ამბები.

27 ღვინობისთვეს იყო დანიშნული კრება სამღვდელოების დეპუტატთა თფილისის ოკრუგისა; მაგრამ ამ დღეს არ გამოცხადდა არც ნახევარი რიცხვი ყველა წევრებისა (სულ უნდა ყოფილიყო 22, და ამ დღეს-კი გამოცხადდა მხოლოდ 8 წევრი). ამის მიზეზი ერთის მხრით იყო ცუდი ამინდი, მეორეს მხრით ის გარემოება, რომ დეპუტათთ არა ჰქონდათ წინათვე გამოცხადებული, თუ რაზედ და რა საგნების განსახილველად არიან დაბარებულნი.

მეორე დღეს, ესე იგი 28-ს გამოცხადდა 12 წევრი, რომელთაც ამოირჩიეს თავსმჯდომარედ ნუხის მღვდელი მამა ეროდიონ ნანაბოვი და საქმის მწარმოებლად მამა მანასია ქაპანაძე, სოფ. მუხრანის მღვდელი. იმავე დღეს შეუდგნენ საქმეს.

საყურადღებო საგანი ამ კრებისა არის სასულიერო სასწავლებლისთვის სახლის მოპოება. ამ საგანზედ გუშინ მთელს დღეს ლაპარაკობდნენ და ჯერაც არ არის დაბოლოვებული. დიდი სიფრთხილე ჰმართებთ მამა დეპუტატებს, რადგან საშვილი-შვილო საქმის გაკეთება ითავეს.

* * *

მოგეხსენებათ, რომ ამ გაზაფხულის თვეების განმავლობაში ექვსჯერ, თუ შვიდ-ჯერ იყო გამართული ალექსანდროვის ბაღში სახალხო სეირნობა, რომლის შემოსავალი სეირნობის გამმართველთ (ბ. უასუმოვს და სხვებს) იმ ღარიბ წმაწვილების თავ-შესაფარს სახლისათვის უნდა მოეხმარათ, რომელიც მიცვალებულ იმპერატორის ალექსანდრეს სახელობაზე იმართება თფილისში. ბაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილია ახლა ანგარიში ამ სეირნობათა, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ სულ ხუთი სეირნობა ყოფილა (მეექვსე, ცუდი ამინდის გამო გადაუდვიათ) და ამ ხუთ სეირნობიდამ შემოსულა—4,634 მან. 85 კაპ. და გასავალი კი—4,283 მან. და 3 კაპ.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შემოსავალში ჩარიცხულია ის 225 მან., რომელიც შეუწირავს ბ. უასუმოვს, გამოვა, რომ მთელი ამ 5 სეირნობიდამ თითქმის არაფერი მოგება არ დარჩენილა. ღირდა განა ამისათვის თითქმის მთელი ორის თვის განმავლობაში კვირაობით ბაღის კარების დაკეტა და სეირნობის გამგებელთ ფაცა-ფუცი და ალიაქოთი?

* * *

ცხენის-რკინის გზის გაყვანას ბ. დრეკეეეკი და კომპ., რომელთაც ქალაქმა მიანდო ეს საქმე, მომავალის გიორგობისთვიდამ შეუდგებიან. კომპანიამ წარმოადგინა ქალაქის რჩევაში ზოგიერთი ახალი მუხლები კანტრაქტისა, რომელიც უნდა შაიცვალოს და ყოველგვარი პლანები გზისა. რჩევა ამ დღეებში მოილაპარაკებს ამ საგანზე და შემდეგ გზის გამკეთებელნი იმ წამსვე გაყვანას შეუდგებიან. პირველად ვარანცოვის ძეგლიდამ (ხიდიდამ) მუშტაიდამდინ შეუდგებიან გზის გაყვანასა და შემდეგ იმ სხვა ქუჩებზედაც, რომელ-

ზედაც, კანტრაქტის ძალით, უნდა გაკეთდეს ეს ცხენის-რკინის გზა.

***

ჩვენმა თეატრის რეცენზენტმა, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ვერ წარმოგვიდგინა განხილვა იმ ქართულ წარმოდგენისა, რომელიც გავლილ კვირის ოთხშაბათს იყო; ამის გამო, რომ ეს წარმოდგენა სრულიად მოუხსენებული არ დარჩეს გაზეთში, საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ, თუ პიესაზედ არა („ქარაფშუტაზედ“), რომელიც ადრეც იყო ნათამაშევი და გარჩეული ჩვენს გაზეთში, ცოცხალ სურათებზედ მაინცა.

სულ სამი სურათი იყო და თითო სურათი სამ განყოფილებად: პირველი სურათი—„წყაროსთან“—წარმოადგენდა ქართველ ახალ-გაზდა სოფლის გოგოს, წყაროდამ მოაქვს წყალი; გზაზედ დახვდება ერთი ახალგაზდა მემამულე, სთხოვს წყლის დალევინებას. შემდეგ ეს კაცი მოეხვევა გოგოს და ჰკოცნის.

მეორე სურათი წარმოადგენდა ქართველების ოჯახში მოსულს ურიებს, რომელთაც საქონელი მოუტანიათ სავაჭროდ; ურიას გარდაუშლია თვისი ფართალი და უჩვენებს; შემდეგი სცენა წარმოგვიდგენს დაღონებულ ურიებს, რომელთაგან არაფერი საქონელი არ უყიდნიათ.

მესამე სურათი „შეფხვის ტყაოსნიდამ“ იყო, ის ადგილი, როდესაც ასმათი ტარიელს წარუდგენს ნესტან დარეჯანს.

პირველი ორი სურათი მშვენიერად იყო წარმოდგენილი. მ. საფაროვისა-აბაშიძისამ მშვენიერად გამოხატა კეკლუცი, ეშმაკი სოფლის გოგო, რომელიც კეკლუცურად მოაწვდენს წყალს უცხო

აკეცილი განიერს ღვედის ქამარში ისე, როგორც სიარულში და ომის დროს იკეთებენ; ქამარზედ მოდიდო ხანჯალი ჰქონდა ჩამოკიდებული. სასწრაფო და საპირისწამლე ორკენ, მხარ-იღლივ გადაკიდებული, ამტკიცებდნენ, რომ ის მეომარი უნდა ყოფილიყო; გაშაშვლებული თოფი მხარზედ გადადებული, მზის სხივზედ კრიალებდა. მთელი იმისი მიხრა-მოხრა ამტკიცებდა სიამაყეს და გულადობასა. ისე შეკრული გაფთხილებული და მოხდენილი მოდიოდა, რომ მტერსაც-კი სისიხარულოდ მიაჩნდებოდა იმისი ნახვა და გამიზნებულს თოფს შეაყენებდა, რომ საკმაოდ დამტკბარიყო იმის მშვენიერებით.

— მათია, მათია! წამოიძახა ელგუჯამ, რაკი მთიული დაინახა და გაექანა იმისკენ; ძალი გაშმაგებით დაეძგერა.

— ჰა, აზგამო, შებაითალმანო! აზგამ დასძახა ელგუჯამ ძალს, რომელიც მაშინვე გამობრუნდა და კუდი დაუშვა.

— ბედშავო! აფთარავ! მოკეთე! ველარ გიცნვია?.. შფრო მშვიდობიანად დაუმატა იმან.

კაცსა და შემდეგ ვითომ-იგერებს იმას, როდესაც ის საკოცნელად მოიწევს.

მეორე სურათში ბ. ვ. აბაშიძემ სწორედ ტიპიურის სინამდვილით გამოხატა ჩვენებური გაიძვერა ურია.

მესამე სურათი („შეფხის ტყაოსნიდამ“) ისე მოხერხებული არ გვეჩვენა, როგორც პირველი ორი და როგორც საგანს ეკადრებოდა.

მაგრამ, რაც უნდა იყვეს, ამ სურათების გამმართველი ჭეშმარიტად ღირსია საზოგადოების მადლობისა და ეს მადლობა კიდეც ღირსეულად მიიღო და დაიმსახურა მან იმ საღამოს.

ჩვენ გავიგონეთ, რომ შემდეგ ოთხშაბათსაც იქნება გამართული ცოცხალი სურათებიო.

წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

წავიკითხე გუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილი მოწინავე სტატია, საცა წერა-კითხვის საზოგადოებას ბრალად სდებთ ბათუმის სკოლის ცუდად წაყვანას. წავიკითხე ეგრეთვე ის სტატიები და შენიშვნები, რომელნიც თქვენს გაზეთში ხშირად იბეჭდებიან იმავე საზოგადოების წინააღმდეგ და ვალად უდგენ ჩემ თავს ამ წერილით მოგახსენოთ თქვენ და თქვენს პატივცემულ მკითხველებს: რამდენად დაიმსახურა წერა-კითხვის საზოგადოებამ ეს მუდამი საყვედური თქვენის გაზეთისა.

საზოგადო აზრი, ხალხში გავრცელებული, ის არის, რომ წერა-კითხვის საზოგადოება არას აკეთებს. თქვენმა გაზეთმაც ამოიღო ნიშანში ამ საზოგადოების მმართველობა და შემწეობა მისცა ამ ხმის გავრცელებას. ყოველგან იმას გაიგონებ: „რა გააკეთა წერა-კითხვის საზოგადოებამ; ჩვენში სწავლა-განათლების საქმე ისევ იმ მდგომარეობაში არის, რა მდგომარეობაშიაც იყო საზოგადოების დაფუძნებამდის; შკოლები არა გვაქვს, რაცა გვაქვს, ისეც ცუდად მიდის, წიგნებს არა ბეჭდავენ; მათგან გახსნილი სკოლები ან უნდა დაიხუროს, ან უნდა ისე ცუდად მიდიოდეს, როგორც ბათუმის სკოლა მიდის, ერთი სიტყვით საქართველო იმ მდგომარეობაში არის, რა მდგომარეობაშიაც იყო „წერა-კითხვის საზოგადოებამდის“.

საზოგადოების მმართველობის სახელით მე პასუხის გაცემას არ ვიღებ ჩემ თავზე, მაგრამ, როგორც თქვენი გაზეთის მკითხველი, როგორც ამ საზოგადოების საქმეთა მცოდნე და თქვენი თანამშრომელი, ნებას ვითხოვ ცოტა რამ ზემოდ-მოყვანილი აზრის შესახებ მოგახსენოთ.

უეჭველია, საქართველო არ გადაუბრუნებია წერა-კითხვის საზოგადოებას და მზე ისევ იმ ალაგას ამოდის ჩვენში, საცა ამ ორი წლის წინად ამოდიოდა, მაგრამ საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ან კი შეიძლებოდა, რომ ამ ორ წელში საზოგადოების მმართველობას სწავლა-განათლების საქმე ისეთ გვარად გამოეცვალა საქართველოში, რომ დღესვე დასჩენოდა საზოგადოებას ჩვენი მმართველობის ნაყოფი? შეიძლებოდა განა ამ ორ წელში, იმ ღონის-ძიებით და პირობით, რომელშიაც ჩვენა ვართ, სკოლებიც გაგვეხსნა ბევრი, წიგნებიც დაგვებეჭდა, დაარსებული სკოლები ფეხზე დაგვეყენებია და სხვა დიდად საჭირო და სასარგებლო საქმეები აგვესრულებია?

ქვემოდ ჩამოვთვალი იმ ცოტა რამ საქმეს, რომელიც „საზოგადოებას“ გაუკეთებია და ზეპირად მომგონდება, მაგრამ, მანამ ერთი რა მინდა მოგახსენოთ. სახალხო განათლების წარმართვა მთელს მხარეში, ისეთი ძნელი საქმეა, რომელსაც უბრალო საქველ-მოქმედო საზოგადოება კი არა, რომლის მმართველობის წევრნი, სხვათა შორის, აკეთებენ საქმეს, განგებ ამისთვის დაფუძნებული დაწესებაც ვერ აძლევს ჯეროვან თავდარიგს. იმ საქმეს, რომელიც აბარია წერა-კითხვის საზოგადოებას, მმართველობის მხრით ორი დირეკცია ჰყავს დანიშნული თავისი შტატით და მოკლეს დროში საჭირო იქნება მესამე—ბათუმის მაზრისთვის.

ეს დიდი ასპარეზი, ეს ბევრი საქმეები, რომელიც შეადგენენ წერა-კითხვის საზოგადოების საგანს, არის იმის მიზეზი, რომ საზოგადოებამ ჯერ ვერა დააჩნია-რა ჩვენ ხალხს თავისი მოქმედებით. რომელ ერთს საქმეს მოჰკიდოს ხელი საზოგადოებამ? განვიზრახეთ ახალი სკოლის დაარსება, უეზდების ადმინისტრაციამ ნება არ მოგვცა ხალხთან მოლაპარაკებისა; განვიზრახეთ სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა და გამოვაცხადეთ ჯილდო იმათთვის, ვინც შეადგენენ სკოლებში გამოსადეგ წიგნებს,—ვერც ერთი სასარგებლო თხზულება ვერ მივიღეთ; გავხსენით თფილისში სკოლა, როცა სახალხო სკოლა არ იყო ქართველებისთვის, და ჩვენი სკოლა; შემდეგ ოთხი სკოლა დაფუძნდა, ძალაქის ხარჯით, ქართველებისთვის და ჩვენ საუკეთესოდ დავინახენ, (ხარჯისგან შეშინებულებმა) ეს სკოლა დაგვიხურა; გავხსენით ბათუმში სკოლა, იქაც გაიმართა ჩვენს შემდეგ მმართებლობის სკოლა და ბავშვები იმ სკოლაში გადაიყვანეს (ამ გადაყვა-

---

— ელგუჯას გამარჯვება! შამოსძახა მათიამ.

— ბაგამარჯვოს, მათიაუ!

ამ დროს მზაღვეც მოვიდა, მაგრამ ვაი იმ მოსელას!.. რამწამს მათიამ თვალი შეჰკრა, მაშინვე ფერი შეეცვალა და წაბარბაცდა.

— რაი მოგვივიდა? მიეშველა ელგუჯა.

— არც რა, არც რა!.. თავს რეტი რამე დამესხა... უპასუხა მათიამ და წყნარა თვალებ დაშვებული მიუბრუნდა მზაღვეს:

— დას გაუმარჯოს.

— აუ, ბედშაო ჩემო თავო, მე-კი გული გამეხითქე და რაიღა გამარჯვებისაა?.. დაჯექ, დაჯექ, არ წაიქცე... ეუბნებოდა მზაღვე.

— არა მიშავს-რა, შენი კვნესამე! ცხელი დღეა, მზემ ძალა თუ დამატანა.

— წადი-ღა, წყაროდგან წყალი მოიტანე, უთხრა ელგუჯამ მზაღვეს, რომელიც საჩქაროდ გაბრუნდა.

— ნუ ირჯები, შენი კვნესამე, ნუ, არა მინდა-ღა, გაიარა... წარმოსთქვა მათიამ, რომელიც თავს ძლივს-ღა იმაგრებდა.

იმ დროს ის გრძნობდა ჯოჯოხეთის ცეცხლს, წამებას და სატანჯველს, რაც-კი ადამიანისთვის გაჩენილა ამ სოფლად.

ისინი მივიდნენ ბინასთან, დასხდნენ და დაიწყეს ლაპარაკი.

— რაი ამბები ხდება მთიულეთს? დაიწყო ელგუჯამ.

— რაი ანბავი-ომი იქნება

— ომი! სიხარულით წამოხტა ელგუჯა.

— ჰო, ომი.

— ვისთან?

— რუსებთან.

— ძლივს!.. აბა ახლა გამოჩნდების, ვინც ვაჟკაცია!

ამ სიტყვებზედ მზაღვე შეჰკრთა დაწყნარადა ჰკითხა:

— შენც წახვალ ომში?

— მე? მე ყველაზედ მეტი მიზეზი მაქვს... ჩადი შინ და ხარანაულთ უთხარ ცხორს მოეპატრონონ, მე იქ წავალ, საცა ჩემი ტოლ-სწორები იქნებიან...

მზაღვე წამოდგა, ჩუმად გამოესალმა მათიას და თვალებში ცრემლმორეული გაემართა გზას.

მათია და ელგუჯა-კი დაფიქრებულნი, გაჩუმებულნი დარჩნენ; ბოლოს უკანასკნელს გულმა ველარ მოუთმინა და უთხრა მათიას:

— პატარა ხანს ცხვარზედ თვალი დაიჭირე, შინ რამე დამავიწყდა, წავალ იმ ქალას მოვეწევი და ვეტყვი.

— აგრე! იყო მოკლე პასუხი.

ელგუჯა გამოუდგა თავის ცოლს, რომელსაც ჩქარა მოეწია.

— ქალაუ, მოიცადე-ღა.

მზაღვე შესდგა და მადლიერის თვალებით შეხედა.

— რაი გინდა?

— მე სოფელში აღარ ჩამოვალ და აქედგან წავალ პირ-და-პირ.

— ციდევ ომი, კიდევ ხალხის წყევლა! წამოიძახა მზაღვემ გულის კანკალით.

— რაი უყოთ, მტერს პასუხი უნდა, ძალის მომტანს წინააღმდეგობა.

— ჩამოხვიდოდი, ბალღებს მაინც გამოეთხოვებოდი, უთხრა მზაღვემ, რომელსაც ვერ დაეთმო თავის ქმარი.

— მეტი ნახვა—მეტი მწუხარეაა. ბალღებს რაი უნდათ? ეთილი მეზობლები არ გამოგელევათ და შენ-კი თავს არ დაანებებ, არ დაჭყრი...

ნის მიზეზი ჯერ ჩვენ დაწვრილებით არ ვიცით). ერთის სიტყვით, ამ ჩვენ ერცელ ასპარეზზე ჩვენგან დაწყებულ საქმეებს ისეთი პირობა და დაბრკოლება დახვდათ, რომ გამოდის, თითქო ჩვენ არას ვაკეთებდეთ.

შეიძლება სხვა კაცებმა უკედ წაიყვანონ საზოგადოების საქმე, ვინემ ჩვენ, სხვას, შეიძლება, უკეთესი თავიც ჰქონდეს, ვინემ ჩვენ, მაგრამ ამას კი ნუ ვინ იტყვის, რომ საზოგადოების მმართველობის წევრნი არას აკეთებდენ, შრომა ეზარებოდათ. ქვირაში ერთხელ იკრიბებიან ეს წევრები ხუთშაბათობით, და ექვსის საათიდამ თორმეტ საათამდი ერთს თავის-ტეხაში არიან; კრების გარეთაც, ზოგი წიგნებს არჩევს, ზოგი სოფელსოფელ მიდის, ზოგი კატალოგს არდგენს, ზოგს კორექტურა უჭირავს და სხვ. და სხვ. ერთის სიტყვით, ძალითა და ღონით მსახურებენ საზოგადოებისგან მინდობილ საქმეს.

ამ ორ წელში მმართველობამ:

გახსნა სამი სკოლა;

შემწეობა მისცა ასიოდე სკოლას;

დაბეჭდა ორი წიგნი და მესამეც ბეჭდება.

მზაარჩია: სამი გეოგრაფია, ორი არითმეტიკა, ორი ისტორია და ერთი ბუნების მეტყველება.

მაიჩინა ექვსი სტიპენდიატორები.

დასდვა საფუძველი და თავი მოვუყარეთ ხელ-ნაწერ ბიბლიოთეკას.

შეადგინა სკოლების გამართვის გაზაჩენი და მმართებლობას დაამტკიცებინა.

შეადგინა სკოლაში საკითხი საგნების ვრცელი პროგრამმა და დაამტკიცებინა მმართებლობას.

მისცა შემწეობა ქართულ გალობის ალმადგენელ საზოგადოებას.

ბ-ნი ილ. ოქრომჭედლიშვილისაგან შემოწირულის ექვსასის თუმნით ამ ორ თვეში შეუდგება ძველი წიგნების ბეჭდვას. (აპირებენ პირველად „ვისრამიანის“ ბეჭდვას) და სხვ. სხვ.

უკაცრავად ვარ ამ ჩვენი ღვაწლის ჩამოთვლისათვის (მართალია, დადი ღვაწლი არა არის-რა), მაგრამ, თქვენ თითონ ბრძანეთ, ბ-ნო რედაქტორო, რა შეგვეძლო მეტი? რატომ არ მოგბრძანდებიან ჩვენ სხდომებზე და არ შეგვეწევიან ის პირები, რომლებიც ჩვენ გვესაყვედურებიან და რომელთაც, უეჭველია, გული შესტკივათ ჩვენი საზოგადოებისთვის? თუ გინდ ნუ მოვლენ, რატომ თქვენის გაზეთით არ იძლევიან რჩევას, პროექტს ეს-და-ეს უნდა გაკეთდეს, ეს-და-ეს უნდა გავაკეთოთო. თორემ მოჰყვებიან ბატონო, ჩვენს გმობას და ამ გმობას ვნების მეტი—ღმერთი, რჯული,—სარგებლობა არა გამოაქვს-რა. ცუდი ხმის გავრცელება და საზოგადოების თანაგრძნობის შემცირება ჩვენი ახალი „საზოგადოებისთვის“ დასაკლისია და, თქვენ თითონ ბრძანეთ, კარგია თუ ცუდი ამ გვარი ხმის გავრცელება იმ საქმის წინააღმდეგ, რომელიც მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენის ერისთვის.

წევრი მმართველობისა

ი. მეუნარგია.

ბატონო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთს „დროებაში“ წავიკითხე ამას წინედ შენიშვნა ვიღაც რაჭველისა, რომელიც გესლიანის ენით ეხებოდა ჩემს მოქმედებას, როგორც პოლიციის პრისტავისას, მეწამებოდა, რომ ვითომც მე ესტანჯავ საბრალო გლეხებს გაწვევით ჩემის ვენახების საკეთებლად.

დარწმუნებულმა, რომ აღნიშნული შენიშვნა ეკუთვნოდა თ. ჟ—ნის კალამს, მე წარმოვსთქვი მისს მთელს რაჭაში ერთად-ერთს მეგობართან საყვედური ბ. ჟ—ნზე და დავუმატე, რომ უმჯობესი იქმნება გაასწოროს მან ხვანჭკარის ბანკის საქმე, რომელიც ლმერთმან იცის, რა მდგომარეობაშია და სხვა.

ამ საყვედურით გაფიცხებული ბ. ჟ—ნი მოიქცა თქვენთან წერილით, რომელშიაც იწყო თავის მართლება, რომ ჩემზე არაფერი შენიშვნა გამოუგზავნია, მაგრამ არ დაფარა, რომ ბ. რაჭველის შენიშვნების თანამგრძნობელია.

შემდეგ მისის წერილს დაბეჭდვისა მე არ მინდოდა მეთქვა რაიმე თავის გასამართლებლად, რადგან მკითხველ საზოგადობას შეეძლო გამოეყვანა აღნიშნულის წერილიდამ აზრი, რომ ბ. ჟ—ნი და მე უკმაყოფილო ვართ ერთმანეთში და მაშასადამე მას არ დაეჯერება, რაც უნდა ცუდი რაიმე სთქვას ჩემზე; მაგრამ, რადგან „დროების“ მე-150 ნომერში ვხედავ კიდევ წერილს, რომელიც გამოსულა დამამტკიცებელად ყოვლისა მის რასაც ბ. ჟ—ი მეწამება, საჭიროდ ვრაცხ მივმართო ბ. ჟ—ნს შემდგომის პასუხით:

ნუ თუ, ბ. ჟ—ნო, ამ ერთის წლის განმავლობაში ისრე შეგისუსტდათ ხსოვნა, რომ ვერ მოგგონებიათ, თუ რისთვის გაკეთდა გზა მიმავალი ნიკორწმინდიდამ ბუგეულის ხიდთან სხვა გზების უწინ? ნუ თუ გაძლევთ სინდისი ნებას დაფაროთ ის, რომ მე მომანდო ბ. მაზრის უფროსმა, თანახმად თქვენის ბ. მიროვის პოსრედნიკის ჯაყელის და თქვენის ძმების თხოვნისა, ბუგეულის ხიდის კეთება? ვინ იყო მიზეზი მისი, რომ ამ ხიდის აგებაზე, გარდა ხვანჭკარისა, ბუგეულის, სადმელის და ზნაკვის საზოგადოებაში მცხოვრებთა, რომელთაც, უეჭველია, გაუძნელდებოდათ ხიდის გაკეთება დაინიშნა ბაჯის, ვიხის და ნამანევის საზოგაოებიდამ? სჩანს, არ გსსომებია და ამის გამო გეტყვით, რა მიზეზი იყო:

ხიდს სჭირდებოდა ბევრი ხის მასალა და, სხვათა შორის, რაოდენიმე ხე არა-ნაკლე 11 საჟ. სიგრძე და 9 გოჯი სისქით და მოტანა ამ მასალისა ითხოვდა დიდ ძალას და ამის გამო ბ. უეზდის უფროსმა და მაროვის პოსრედნიკმა ჯაყელმა მოიხმეს სოფ. ნიკორწმინდას მამასახლისები ნიკორწმინდის, ხოტევის, ქელევის და ამბროლაურის, მისცეს მათ წინადადება, რომ საზოგადო საშუალებით რწმუნებულის მათდამი ზემოხსენებული საზოგადოებათაგან აგებულიყოს ბუგეულის ხიდი იმ პირობით, რომ ხიდის მახლობლად მდებარე საზოგადოების მცხოვრებნი, ნაცვლად ამისა შეეწევიან მათ გზების კეთებაში.

ეს წინადადება გარდაეცათ საზოგადოდ ყველა მცხოვრებლებს, რომელთაც გამოაცხადეს სრული თანხმობა, შაუდგენ საქმეს და ამავე გვარად ოთხის თვის განმავლობაში, დაუძინებელის ჩემის მეცადინეობით, რაიცა თქვენც იცით, გაკეთდა ხიდი.

შემდეგ შეუდექი კეთებას გზებისას ხიდის გაღმით და გამოღმით. ამ გზაზე მუშაობდნენ არა-თუ მარტო ხვანჭკარის საზოგადოების მცხოვრებნი არამედ სხვანიც. ხიდის სანახავად ჩამოვიდა მაზრის უფროსი და მოეწონა ძლიერ იგიც და გზებიც, შეუდგა სხვა გზების საქმეს, მოიხმო მეპლანე და დახედა რა გზებს ბუგეულში, საკეციაში, ზნაკვაში, მოტყიარში და ნიკორწმინდაში, გაიყვანა ეზის პლანი ხიდიდამ ნიკორწმინდისკენ და მიბრძანა ვაკეთება გზის ხუთის თვის განმავლობაში,

---

— აუ!, რას მეუბნები?

— იმას რომ შენ ფიცი უნდა მომცე... ჩვენ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... ვინ იცის ცოცხალი მოვალ, თუ არა... თუ მომკლეს, მამობაც შენ უნდა გაუწიო და დედობაც.

— უწინამც დღე დაგველევა, სანამ მაგ დღეს დავესწრებოდეთ.

— ვინ იცის... ვაჟკაცი ნამუსისა და ბრძოლისთვის არის გაჩენილი, დედაკაცი—შვილების აღსაზრდელად.. მაშ შემომფიცე, რომ აასრულებ შენს მოვალეობას—შენს შვილებს თავს არ დაანებებ.

— ვფიცავ შენს თავს! ძლიეს წარმოსთქვა მზაღვემ, ტირილით ჩეეკრა გულში და ისე დარჩნენ რაოდენიმე ხანს.

— ქარგი, კარგი... ღმერთი მოწყალეა... ქიდევ შევიყრებით მშვიდობით...

მზაღვემ მაგრად მოეხვია ხელები და თრთოლით, თუმცა თავ-შეკავებით, ტიროდა; ელგუჯასაც გული დაულბა და თითონვე ეშინოდა, რომ ჩქარა არ გაწყვეტილიყო ეს სასიამოვნო სიყვარულის ჯაჭვი, მაგრამ მოაგონდა მათია, მოაგონდა თავისი მოვალეობა, გაიფიქრა: „გულ-ჩვილობა დიაცთ წესია“,—და წყნარად გაშვებინა ხელები ცოლს, შეხედა თვალებში, მოეხვია, გატაცებით აკოცა და საჩქაროდ გამობრუნდა.

— დაიცა, ცოტა კიდევ... სათქმელი მაქვს რაიმე... დაიძახა მზაღვემ, მაგრამ გვიანლა იყო, ელგუჯა გადაეფარა იქვე ახლოს მყოფს ქედს. ის მიეშურებოდა თავის ძმად ნაფიცისკენ, რათა გვერდს მოსდგომოდნენ თავიანთ მოძმეთ და ერთად წინ აღდგომოდნენ შემაძრწუნებელს უსამართლობას.

ჩქარა ამოვიდნენ ხარანაულების ბალღები, რომელთაც ჩაიბარეს ცხვარი.

ელგუჯამ და მათიამ გასწიეს მთიულეთისაკენ.

გზაში ისინი აგროვებდნენ თავისავით თავ-გამოდებულს ბიჭებს.

სანამ დანიშნულს ალაგს მივიდოდნენ, ოცამდინ ბიჭი შეიყარნენ, მაგრამ ისეთი ბიჭები, რომელთაგან ერთი-ათად დაფასდებოდა.

ისინი პირველ შეყრაშივე ძმად გაიფიცნენ, დასდვეს პირობა, რომ ყველანი ერთად გადიქცნენ და ერთის სახელით იმოქმედონ, ერთისთვის ყველამ გადასდოს თავი და ყველამ—ერთისათმა.

მაგრამ ეს ფიცი საჭიროც არ იყო, ისინი თავიანთის აღზრდით, თავის შეხედულებით და ჩვეულებით, თავიანთ მოვალეობით ხედავდნენ ერთმანეთის შველას, ერთმანეთისათვის თავ-გადადებას... ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, რომელიც დედის ძუძუსთან ერთად შესწოვენ და ჩაინერგავენ აზრს ამხანაგის მოღალატის სირცხვილსა; იმ ხალხში, რომლის ზღაპარი, თუ ლეგენდა, თუ საგანზედ, ამ საგანზედ ტრიალებს და უნერგავს გულში ამ ამაღლებულს შეხედულებას.

ეს არის ეხლა აბდია უნდა ენახათ, შეეტყობინებინათ იმისთვის თავის აზრი და საუბარი ჰქონდათ იმაზედ, თუ რა რიგათ უნდა ემოქმედნათ.

— მაშ გავწყდეთ ყველანი და სირცხვილს-კი ნუ შევირჩენთ! წამოიძახა ელგუჯამ.

— გავწყდეთ, გავწყდეთ, იყოს საერთო პასუხი.

— რაიღა ვიქნებით, თუ ჩვენი მეფეც აღარ გვეყოლება?

— არც რა....

— მემრე როგორ მოუკლამთ უღმეთოებს.... მოუწამლაესთ.

— სიკვდილი მოღალატეებს!

ამ დროს მოვიდა ერთი მთიული. რომელიც სვიმონს გამოეგზავნა მათიასთან.

— ბამარჯვება ვაჟებს! მისვლის უმალეს წამოიძახა იმან.

— ბაგიმარჯოს, იყო პასუხი.

— მათიაი, აქაა?

— აქა ვარ, რაი გინდა?

— სვიმონმა გამომგზავნა, მათიას უთხარი, აბდია და სხვა უფროსი კაცები წამოიყვანოს და ეხლავე აქ ამოვიდესო.

— რას იტყვით, ვაჟებო, ცოტა სიჩუმის შემდეგ, ჰკითხა მათიამ ამხანაგებს.

— სვიმონ კაი კაცია, ის ღალატით არ მოიქცევა... ადი აბდიასთან როგორც იმან გითხრას, ისე მოიქეცი. მაგრამ ძალიან-კი მაინც ნუ ენდობი სვიმონსა, რუსის სამსახურშია...

ს. მოხსუბარიძე.

(გაგრძელება)

გასცა ბრძანება შესახებ მუშის გამოწვევისა.

მიბრძანეთ—შემეძლო მე უარის ყოფა ბრძანებაზე? დავიწყე მუშაობა.

გათავდა ზემოთქმული გზა და შეუდექი ეგრეთვე თანახმად მაზრის უფროსის ბრძანებისა, კეთებას გზებისას ამბროლაურიდამ ხოტეურის ხიდამდის, საკეციამდი და კიდევაც გავიყვანე ორ საქენიანი გზა.

ახლა მიბრძანეთ—სიმართლე იქნებოდა, რომ თქმულის გზების კეთებაში არ მიეღო მონაწილეობა ხვანჭკარის საზოგადოებას, როდესაც სხვები კი შეეწივნენ მათ ხიდის და გზების კეთებაში?

ბადვიდეთ ამ საგნიდამ ხვანჭკირის ბანკის საქმეების წარმოებაზე. მე, როგორც ადგილობრივ პრისტავს, ბევრმა შემომჩივლა, რომ თქვენ არ უბრუნებთ ფულს ამხანაგობიდამ გასულს წევრებს. ბევრმა მთხოვა, რომ დამეფარა უკანონობისგან, რომელიცა ადგათ მათ ბანკის ვალის გარდახდევინების გამო. ამისაგამო ნამდვილად მაქვს ნაბრძანები მამასახლისებზე, რომ გლეხებს არ გაეყიდოს ის მოძრავი ქონება, რაც მიუცილებელი საჭიროა მათის ცხოვრებისათვის, არამც თუ ხვანჭკარის ბანკის ვალში, არამედ არავითარ რამე ვალში. ეს ჩემი ბრძანება არის დაფუძნებული კანონზე და უმაღლეს ბრძანებაზე მთაბრობისა. ამ ბრძანების მიცემა მამასახლისებზე მე უამბე მიროვის პოსრედნიკს ბ-ნ ჯაყელს თანდასწრების დროს მისის ძმის ბრიგოლ ჯაყელისა, ლევან და ჯიბრაილ ყიფიანებთა და აზნაურის მინა ბიოგრობიანისა. აბა სთქვას ბ-მა ჯაყელმა რა ილაპარაკა მან შესახებ ხვანჭკარის ბანკისა და მისის მმართველისა. ვერ დაფიცავს ბ-ნი ჯაყელი ვერც იმას, რომ მას ბევრჯელ ულაპარაკნია რიგიანი პირებისთვის, რომ ბ-ნი კ. უ. უსათუოდ პასუხისგებაში მიეცემა ხვანჭკარის ბანკის საქმეების გამო.

ამის მთქმელს, უეჭველია ეცოდინება—თუ როგორ მიდის ბანკის საქმეები. ამ ბანკის საქმეების ჩაფუმვას მე კი ნუ მაბრალებთ, ბ-ნო კ. უ—ნო, არამედ იმას, ვინც ცდილობს დაარსებას ბანკისას სოფ. ბუგეულში; თუმც უჩინ-მაჩინის ქუდი ვისაც ხურავს მისი დანახვა თქვენ გიძნელდებათ, იკითხეთ და გეტყვიან.

ტყუილად გჯერათ ვისმესი სიტყვა ჯანელიძე გელუპავსო. აბა რას უნდა ველოდე მე ხვანჭკარის ბანკის დაუუქმებით? უნდა მიხვდეთ, რომ ვინც ცდილობს ბუგეულში ბანკის დაარსებას, კიდევ გეტყვით მისთვის არის საინტერესო, რომ ხვანჭკარის ბანკიდამ გამოვიდნენ ამხანაგები, შეირიცხონ ბუგეულის ბანკში და თქვენი ბრწყინვალება დარჩეს მარტო ერთი აღმასრულებელი ყველა თანამდებობისა.

პოლ. ბრისტ. ჯანელიძე.

განცხადებანი

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში გადმოვიდა ცენტრალური

სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ეურში, ვარანცოვის მეგლის პირ-და პირ, ლიხაოინსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებულად მოართული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ეგვლანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ეგვლაფერით შემიმკია და უსათუოდ მისს ეურადღებას დაიმსახურებს

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან ძიირთვან კარიგებისამებრ ეოველ-დღეობით ან თვეობით ძრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—6) ლევან ოლახერაშვილი.

აბონემენტი

ქართული თეატრისა

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

ფასი დაკლებულია:

ლიტ. და შუალოჟ.	54 მ.—60 მ.	
ლოჟ. № 1,2,19,20	30 მ.—42 მ.	
დანარჩენი ლოჟები	36 მ.—48 მ.	
კრესლო 1 რიგისა	15 მ.—18 მ.	
კრეს. 2 და 3 რიგასა	10 50 მ. კ. —12 მ.	
სკამი მესამე რიგ.	4 50 — 6 მ.	

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { ვ. ანაშიძე, კ. მესხი.

ადვოკატი

ევგენი დიმიტრის-ძე

ტიხაპიროვი

უცხადებს თავის კლიენტებს, რომ ის გადავიდა ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 41. მთხოვნელებს მიიღებს დილის 11 საათამდინ და საღამოს 6 საათიდამ.

არდგენს ეოველ გვარ საქმის ქაღალდებს, რჩევას აძლევს უფასოდ; აგრეთვე ღარიბებსაც შუქთად დაიცვავს. 3—3

ოქრი ყმაწვილი კაცი

ძებენ გაკვეთილებს, თავიანთ ხარჯზედაც აიყვანენ ყმაწვილებს. ადრესის დატოვება შეიძლება „დროების“ რედაქციაში. (4—2)

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადგგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, თოდნოსები, ჰირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, ბლაშჩები, ვანები, ქამრები, საუელურები, კლონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტახტები, ჰირისასოცი, ცხვირის-სასოცი, ჩულქები, ტუალეტის საშონი, დუხები, შარბათი, ტიტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, შორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ინგლისის მაღაზიაში. იქვე ჩაი ვაჭროათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უბირველი სარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფიდდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ადბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—31)

ი. მურადოვის

ფიგნის მაღაზიაში

ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჭო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ ასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—13)

ინგლისის მაღაზიაში

ანწყრუნის გალერეიაში

(*Maison de confiance*)

შეადარეთ ჩვენი ჩაი	ჩაის უველგან
— — 1 მ. 10 კაპ.	— 1 მ. 40 კაპ.
— — 1 „ 20 „	— 1 „ 60 კაპ.
— — 1 „ 40 „	— 1 „ 90 კაპ.
— — 1 „ 60 „	— 2 „ 20 კაპ.
— — 1 „ 80 „	— 2 „ 50 კაპ.
ხუთეულა 2 მანეთ.	— 3 მანეთ.

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—52)

ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე იყიდება: ჰარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—30)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საშონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სასოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუბიანი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაღინტოშის მოსასურავებს გასასყიდლად ჯენტლმენების და ბატონების და კაბ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანს გიარები. (100—40)

ჩაის მცოდნე ჰირმა და მსურველმა უნდა იეიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ეველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია ამლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტეეიოთ. (100—77)

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 16 ოქტომბრიდამ 15 ნოემბრამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	—
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	3 ج
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 ج
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 ვირ.	7 ج
მეორის „ „	—1 გირ.	5 ج
მესამის „ „	—1 გირ.	4½
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	8 ج
მეორის „	—1 გირ.	7 ج
სუკი — —	—1 გირ.	14 ج
ცხვრის ხორცი	1 გირ.	8 ج
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	14 ج
მეორის „	—1 გირ.	12 ج

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Октября 1881 г. Типографія С. Меликова. ბამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.